



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



1/426



20/09/2022

2022 წლის 1 ოქტომბერს გასამართი თვითმმართველი თემის - სენაკის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს შუალედური არჩევნების თავისუფალ, უსაფრთხო და მშვიდ გარემოში ჩატარების უზრუნველსაყოფად ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების თაობაზე

2022 წლის 1 ოქტომბერს გასამართი თვითმმართველი თემის - სენაკის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს შუალედური არჩევნების უსაფრთხო და მშვიდ გარემოში ჩატარების უზრუნველსაყოფად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ რისკების სწორად შეფასების, სამართალდარღვევათა პრევენციის, მათზე რეაგირების და არჩევნების თავისუფალ გარემოში ჩატარების ხელშეწყობის მიზნით, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:


1. დამტკიცდეს 2022 წლის 1 ოქტომბერს გასამართი თვითმმართველი თემის - სენაკის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს შუალედური არჩევნების თავისუფალ, უსაფრთხო და მშვიდ გარემოში ჩატარების ხელშეწყობის ღონისძიებები დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.

3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომ - სამინისტრო) ადმინისტრაციამ (დეპარტამენტი) უზრუნველყოს ამ ბრძანების სამინისტროს ვებგვერდზე (info.police.ge) გამოქვეყნება, ხოლო მისი ძალაში შესვლის შემდეგ, ბრძანების ინგლისურენოვანი ტექსტის ამავე ვებგვერდზე განთავსება.

4. ბრძანება ძალაშია სამინისტროს ვებგვერდზე მისი გამოქვეყნებისთანავე და მოქმედებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნების დღის ჩათვლით.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალურად გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი №64).

მინისტრი
ვახტანგ გომელაური



2022 წლის 1 ოქტომბერს გასამართი თვითმმართველი თემის - სენაკის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს შუალედური არჩევნების თავისუფალ, უსაფრთხო და მშვიდ გარემოში ჩატარების ხელშეწყობის ღონისძიებები

მუხლი 1. სამართალდარღვევის პრევენციისა და მასზე რეაგირებისათვის პასუხისმგებელი ჯგუფები და მათი ფუნქციები

1. 2022 წლის 1 ოქტომბერს გასამართი თვითმმართველი თემის - სენაკის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს შუალედური არჩევნების (შემდგომ - არჩევნები) თავისუფალ, უსაფრთხო და მშვიდ გარემოში ჩატარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომ - სამინისტრო) სამეგრელო ზემო-სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის სამოქმედო ტერიტორიაზე შეიქმნას სამართალდარღვევების პრევენციისა და მათზე რეაგირებისთვის პასუხისმგებელი ჯგუფი (შემდგომ - ტერიტორიული ჯგუფი).

2. ტერიტორიული ჯგუფის შემადგენლობაში შედის:

ა) სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს დირექტორი;

ბ) სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფის ხელმძღვანელი;

გ) სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ გამოყოფილი წარმომადგენელი;

დ) სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ გამოყოფილი წარმომადგენელი;

ე) სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფის ხელმძღვანელი (საჭიროების შემთხვევაში);

ვ) სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფის ხელმძღვანელი.

3. ტერიტორიული ჯგუფის ხელმძღვანელობა და სამინისტროსთან მუდმივი კოორდინაციის უზრუნველყოფა დაევალოს სამინისტროს სამეგრელო ზემო-სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორს ან მის მიერ განსაზღვრულ უფლებამოსილ პირს.

4. ტერიტორიულ ჯგუფს ოპერატიულ მართვაში გადაეცეს მის სამოქმედო ტერიტორიაზე განთავსებული სამინისტროს სისტემის ყველა დანაყოფი (შემდგომში - საპოლიციო ძალები), გარდა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისა.

5. ტერიტორიული ჯგუფის ხელმძღვანელმა ან მის მიერ განსაზღვრულმა უფლებამოსილმა პირმა, საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშაოს საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გეგმა ამ დანართით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად.

6. საარჩევნო პერიოდში, ტერიტორიულმა ჯგუფმა თავის სამოქმედო ტერიტორიაზე უზრუნველყოს:

ა) არჩევნების უსაფრთხო და თავისუფალ გარემოში ჩატარების ხელშეწყობის მიზნით, მოსალოდნელი საფრთხეების გამომწვევი მიზეზების გამოვლენისა და რისკების მუდმივი შეფასებისათვის საპოლიციო ძალების მიერ გასატარებელ ღონისძიებათა დაგეგმვა და განხორციელების ორგანიზება;

ბ) საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნის შემთხვევაში, საარჩევნო დოკუმენტაციის, მათ შორის, საარჩევნო ბიულეტენების უსაფრთხო გადაადგილება (გაცილებისა და დაცვის ორგანიზება);

გ) გამოვლენილ სამართალდარღვევებზე დროული და ეფექტიანი რეაგირების ორგანიზება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ტერიტორიული ჯგუფის შემადგენლობაში არსებული სამინისტროს დანაყოფების ხელმძღვანელებმა საარჩევნო კანონმდებლობის, აგრეთვე საარჩევნო პერიოდში საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის თაობაზე დაუყოვნებლივ მიაწოდონ ინფორმაცია უშუალო ხელმძღვანელს, კომპეტენციის ფარგლებში.

8. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულმა ტერიტორიული ჯგუფის ხელმძღვანელმა უზრუნველყოს თავის დაქვემდებარებაში მყოფი მოსამსახურეების მიერ „საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგიერთ მოსამსახურეთა ქცევის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №999 ბრძანების №6 დანართით (არჩევნების პერიოდში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია) დადგენილი წესებისა და მოთხოვნების შესრულება.

9. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამოქმედო ტერიტორიის ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, არ დაუშვას საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის ვადის გასვლიდან კენჭისყრის დღის დამთავრებამდე ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა (სამმართველოს უფროსის მოადგილე და მასზე მაღალი თანამდებობის პირი, აგრეთვე მათთან გათანაბრებული პირები) საკადრო გადაადგილება, გარდა მათი უფლებამოსილების ვადის გასვლის ან/და მათ მიერ კანონის დარღვევის შემთხვევისა.

მუხლი 2. არჩევნების დღემდე საპოლიციო ღონისძიებათა განხორციელების საფუძველი და პირობები

ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან არჩევნების დღის ჩათვლით, ტერიტორიულმა ჯგუფმა თავის სამოქმედო ტერიტორიაზე უზრუნველყოს:

ა) სათანადო ზომების მიღება წინასაარჩევნო აგიტაციის მშვიდ და თავისუფალ გარემოში ჩატარების ხელშეწყობისთვის, მათ შორის, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19-22-ე, 25-26-ე მუხლებით გათვალისწინებული პრევენციული საპოლიციო ღონისძიებების განხორციელება, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მოსალოდნელია ძალადობა ან საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის სხვაგვარი დარღვევა, რაც საფრთხეს უქმნის წინასაარჩევნო აგიტაციის პროცესს;

ბ) ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში საპოლიციო ძალების განლაგება პრევენციისა და სამართალდარღვევაზე ოპერატიული რეაგირების მიზნით.

მუხლი 3. არჩევნების დღეს კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე საპოლიციო ღონისძიებათა განხორციელების საფუძველი და პირობები

1. ტერიტორიული ჯგუფი საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს უსაფრთხოების გეგმას არჩევნების დღეს კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე საპოლიციო ძალების განლაგების მიზნით.

2. საქართველოს საარჩევნო კოდექსის 59-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევაში, საპოლიციო ძალებმა არჩევნების დღეს კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, მაგრამ არა საკუთრივ კენჭისყრის შენობაში, პრევენციული და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებები განახორციელონ, თუ ეს სრულიად აუცილებელია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის აღკვეთისათვის ან დაცვისთვის.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ტერიტორიული ჯგუფი თავის სამოქმედო ტერიტორიაზე უზრუნველყოფს კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე სათანადო რაოდენობის საპოლიციო ძალების წარმომადგენლების გამოცხადებას შესაბამისი უნიფორმით.

4. საპოლიციო ძალებმა კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე პრევენციული და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებები განახორციელონ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) სამინისტროს სსიპ – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ში შესულია შეტყობინება, ან უშუალოდ პოლიციისათვის პირდაპირი შეტყობინების გზით იდენტიფიცირებული წყაროს მიერ მიწოდებულია ინფორმაცია, ან მედიასაშუალებით ან სხვა ღია წყაროდან მიღებულია ინფორმაცია პირის ან პირთა ჯგუფის მიერ კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ;

ბ) საპოლიციო ძალების წარმომადგენელი კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე უშუალოდ შეესწრო საზოგადოებრივი უსაფრთხოების ხელყოფის ფაქტს, მათ შორის, კონფლიქტის გამწვავებას ან ისეთ ქმედებას, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და მოქალაქეთა სიმშვიდეს.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შეტყობინების ან სხვა ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, საპოლიციო ძალების წარმომადგენელი რეაგირების განხორციელებამდე მის ხელთარსებული საშუალებებით ამოწმებს ინფორმაციის ნამდვილობას და სანდოობას, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, უკავშირდება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის გადამოწმების ვალდებულება საპოლიციო ძალების წარმომადგენელს არ ეკისრება იმ შემთხვევაში, თუ:

ა) საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ საპოლიციო ძალები გამოძახებულია საქართველოს საარჩევნო კოდექსის 59-ე მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად;

ბ) მიღებულია შეტყობინება, რომ ჩადენილია ან შესაძლოა ჩადენილ იქნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

7. საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე საპოლიციო ძალებმა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით განსაზღვრული შესაბამისი პრევენციული და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებები განახორციელონ თანაზომიერების პრინციპის დაცვით. პოლიციელის მიერ შერჩეული შესაბამისი საპოლიციო ღონისძიება უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, უნდა იყოს გამოსადეგი, აუცილებელი და პროპორციული. შემზღუდველი ხასიათის საპოლიციო ღონისძიების განხორციელება არ უნდა იწვევდეს პირის არჩევნებში მონაწილეობის უფლების ხელყოფას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ:

ა) კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე პირის ყოფნამ, მისი ქმედებიდან გამომდინარე, შეიძლება გამოიწვიოს საარჩევნო პროცესის ბლოკირება;

ბ) პირი ცდილობს კენჭისყრის შენობაში შეჭრას;

გ) პირი ქმნის კონფლიქტს სამართალდარღვევის პროვოცირების მიზნით.

8. საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვისათვის ან სამართალდარღვევის აღკვეთისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების შემდეგ, ხოლო საქართველოს საარჩევნო კოდექსის 59-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად საპოლიციო ძალების საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ გამოძახების შემთხვევაში ასევე მისი თანხმობით, საპოლიციო ძალები დაუყოვნებლივ ტოვებენ კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიას.

9. საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დარღვევის ან მოსალოდნელი საფრთხის არსებობის შესახებ არასრულყოფილი ინფორმაციის ან/და საექვო ფაქტობრივი გარემოების (მათ შორის, მასობრივი თავშეყრა ან მასობრივი გადაადგილება კონფლიქტის გარეშე) არსებობისას, რომელიც დიდი ალბათობით არ მიუთითებს მოსალოდნელ

უშუალო/მყისიერ საფრთხეზე, თუმცა, ამავე დროს არ გამოირიცხავს საზოგადოებრივი უსაფრთხოების დარღვევის რისკს, საპოლიციო ძალების მიერ არ ხორციელდება პირის მიმართ შემზღვეველი ხასიათის ღონისძიებები. ამ შემთხვევაში საპოლიციო ძალები იღებენ უსაფრთხოების დამატებით ზომებს, მათ შორის, უზრუნველყოფენ გაძლიერებულ პატრულირებას, რისკის შემცველი ზონების პოლიციის მხედველობის არეში მოქცევას და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში მყისიერი რეაგირებისთვის მზადყოფნას.

მუხლი 4. კენჭისყრის შენობაში საპოლიციო ღონისძიებათა განხორციელების საფუძველი და პირობები

1. საქართველოს საარჩევნო კოდექსის 59-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნის შემთხვევაში, რა დროსაც ფორმდება შესაბამისი ოქმი, საპოლიციო ძალების წარმომადგენლებმა კენჭისყრის შენობაში პრევენციული და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებები განახორციელონ შესაბამისი უნიფორმით.
2. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ გამოძახებისას საპოლიციო ძალების წარმომადგენლებმა, საჭიროების შემთხვევაში, საგამოძიებო მიზნებისთვის, კენჭისყრის კაბინის გარდა და საარჩევნო პროცესისთვის ხელის შეშლის გარეშე, მათ ხელთ არსებული ნებისმიერი ჩამწერი საშუალებით (სამხრე ვიდეოკამერა, მობილური ტელეფონი, პლანშეტი) დააფიქსირონ მართლსაწინააღმდეგო ფაქტი საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-8 მუხლის 25-ე პუნქტის შესაბამისად.
3. საპოლიციო ძალების წარმომადგენლებმა საქართველოს საარჩევნო კოდექსის 59-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად კენჭისყრის შენობიდან სამართალდამრღვევის გაძევების აღსრულება უზრუნველყონ მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში.
4. საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვისათვის, ასევე მართლწესრიგის დარღვევის აღკვეთისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელების შემდეგ და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში საპოლიციო ძალების წარმომადგენლები დაუყოვნებლივ ტოვებენ კენჭისყრის შენობას.

მუხლი 5. კენჭისყრის დღეს წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებასთან დაკავშირებული შეზღუდვები

1. საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია კენჭისყრის შენობის შესასვლელიდან 25 მეტრის მანძილზე სააგიტაციო მასალის განთავსება. ეს მასალა ჩამოხსნას/დემონტაჟს/აღებას ექვემდებარება. დაუშვებელია აგრეთვე კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება. ასევე დაუშვებელია კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ადამიანთა შეკრება ან ამომრჩეველთა აღრიცხვა. აღნიშნული აკრძალვა არ ვრცელდება ეგზიტპოლის მიზნით განხორციელებულ საქმიანობაზე.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დარღვევის აღკვეთის შესახებ პოლიციის მითითების შეუსრულებლობის შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს და სამართალდამრღვევს ადმინისტრაციულ სახდელს უფარდებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირი.
3. საქართველოს საარჩევნო კოდექსის 79-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 6. კენჭისყრის დასრულებიდან ხმების დათვლის პროცესის დასრულებამდე საპოლიციო ღონისძიებათა განხორციელების საფუძველი და პირობები

1. კენჭისყრის დასრულებიდან საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ ხმების დათვლის პროცესის დასრულებამდე, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 59-ე მუხლის მე-6 - მე-7 პუნქტების თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნის ან/და კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ხალხის ნაკადის არსებობის შემთხვევაში, საპოლიციო ძალებმა შესაძლო სამართალდარღვევათა აცილების/აღკვეთის მიზნით პრევენციული და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებები განახორციელონ სათანადო უნიფორმით, ამ დანართის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად.

2. საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ ხმების დათვლის პროცესის დასრულებისას (დათვლილი ბიულეტენების საარჩევნო უბნიდან გატანა), საპოლიციო ძალების წარმომადგენლები კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიას ტოვებენ საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვისთვის ან დარღვევის აღკვეთისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების შემდეგ, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ გამოძახების შემთხვევაში – მისი მხრიდან თანხმობის გაცემისთანავე.

მუხლი 7. ნეიტრალობის პრინციპის დაცვა

პოლიციელი (საპოლიციო ძალების წარმომადგენელი) ვალდებულია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაიცვას პოლიტიკური ნეიტრალობის პრინციპი. დაუშვებელია, პოლიციელის (საპოლიციო ძალების წარმომადგენლის) ქმედება პირდაპირ ან არაპირდაპირ იყოს მიმართული რომელიმე პოლიტიკური პარტიის საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად.